№ 258. 21 დეკემბერი, ოთხშაბათი. 1866—1883 21 დეკემბერი, ოთხშაბათი. № 258.

დროება

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

ეთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებას მიიღებენ ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ. ბიბლიოთეკა

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უზს ავტორს.

ამ ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა.

ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა

მომავალს 1884 წლისათვის გამოსულს

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ბოლნისში, საზოგადოების დეპოში, ადალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»*.

ფასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით)	— — 9 მან.	6 თვით	— — 5 მან.
11 თვით	— — 8 მ. და 50 კ.	5 თვით	— — 4 მ. და 50 კ.
10 თვით	— — 8 მან.	4 თვით	— — 4 მან.
9 თვით	— — 7 მ. და 50 კ.	3 თვით	— — 3 მან.
8 თვით	— — 7 მან.	2 თვით	— — 2 მან.
7 თვით	— — 6 მან.	1 თვით	— — 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

შინაური ქრონიკა

19 დეკემბერს თბილისის საადგილ-მამულო ბანკში დანიშნული იყო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომელნიც ფულის ვადაზე შემოუტანელობის გამო უნდა გაყიდულიყვნენ. ეს სამოცამდე გამოცხადებულ მამულში მხოლოდ ოცდა-შვიდი დარჩა ვაჭრობის დღემდე განუთავისუფლებელი. ოცდა-შვიდს მამულში ცამეტი გაიყიდა და დანარჩენს თოთხმეტზედ მეორედ მოხდება ვაჭრობა იანვრის 5-ს. მეორე ვაჭრობის შემდეგ მკითხველებს ვაცნობებთ, უფრო დაწვრილებით, რამდენი სოფლის მამული გაიყიდა და რამდენი ქალაქისა.

რაკი ქაქაასიაზედ ტრანზიტი მოისპო, უეჭველია, ევროპიული საქონელი მცირე-აზიისკენ გაიკვლევდა გზასა და ასეც მოხდა. გაზეთს «ქასპიის» ატყობინებენ, რომ ბენდერ-ბუშირზე, ტრაპიზონზე და არზრუმზე დიდი ქარავნები დაიარებიან ტრანზიტის საქონლითაო, მაგრამ ასე გზის ხარჯი ერთი ორად მეტია, ვიდრე ქაქაასიაზე იყო და, ამას გარდა, საქონელი ხდება კიდეც და ქარავნებს ხშირად ყაჩაღები თავს ესხმიან და სცარცვავენო.

ამავე გაზეთს ატყობინებენ სპარსეთიდამ, რომ ბევრს მატყლის ვაჭარს 200000-მდე ფუთი მატყლი მოუგროვდა, რადგან რუსეთის იმპერიაში შემოტანის ნება არა ჰქონდათო. ეხლა ამ ვაჭრებისათვის რუსეთის კონსულებს იძედი მიუციათ, რომ მალე მოგვცემათ ამის ნებაო.

ერთვინიდამ გვწერენ: «არდანუჯიდამ ხუთ ვერსტზე ავაზაკები დიცენენ ხუთ ვაჭარს, რომელნიც მომავალებულან ერთვინისკენ; უთხოვნიათ, რაც თანა ჰქონიათ, მაგრამ ვაჭრები წინააღმდეგნი გამხდარან. ერთს მათგანს წაუქცევია კიდეც ორი ავაზაკი; მესამე ავაზაკს უსროლია თოფი ამ მხნე ვაჭრისათვის და წაუქცევია. სხვა ავაზაკები გულზე მოსულან და ეს ახალ-გაზდა ვაჭარი ხმლებით დაუჩეხიათ. ამხანაგები გაქცეულან, მაგრამ ერთი მაინც არ გადარჩენილა ავაზაკების ტყვიას და ისიც დაჭრილი ძირს დაცემულა. არდანუჯის ნაწილის უფროსი შეტყობისათანავე ჯარებით და ხალხით დაეღევნა ავაზაკებს, რომელნიც ნახეს ორს ვერსზედ იმ ადგილიდამ, საცა კაცები დაეხოცათ, ბევრი ებძოლეს, მაგრამ ასმა კაცმა სამ კაცს ვერა ავნო-რა. ღამის ბინდმაც მოასწრო და ავაზაკები საღღაც მიიმალნენ. ამ ბარბაროსი ავაზაკების წყალობით სამი ოჯახი გაოხრდა, რადგან ზემოხსენებული სამი ვაჭარი თითო თითო ოჯახის ბურჯი იყო. ერთს იმათგანს, წვრილშვილს გარდა, დარჩა ას-ათი წლის მოხუცი მამა ულუკმა-პუროდ».

«ქაქაზს» აცნობებენ სილნალიდამ, რომ ამას წინად ორჯერ მოხდა, რომ სილნალის ხაზინაში გზის ფურცლები (პოდოროჟნები) აღარ იყო და მგზავრები იძულებულნი იყვნენ—რამდენსამე დღეს ეცადათ და თავიანთ საქმეს მომცდარიყვნენ, ვიდრე ეს ფურცლები საიდამვე გაჩნდებოდენო.

ამავე გაზეთს აცნობებენ თელავიდამ, რომ 15 ნოემბერს მოკლული უნახავთ მოხუცებული კ. ელისაბედ ვახვახოვისა, რომელსაც კისერში ორი ღრმა ჭრილობა ჰქონია ხანჯლისა. ეჭვი მოსამსახურე იმერელზე აუღიათ, რომელიც ამ საქმეს ვიღაც თათარს აბრალებს. სახლიდამ სხვა-და-სხვა ვეიჯი და ნივთები წაუღიათ. ეს მოხუცებული იყო ბებია იმ ნ. ვახვახოვისა, რომლის საქმეც ცოლის მოკვლის თავობაზედ ამას წინად გაარჩია ოლქის სასამართლოს განყოფილებამ თელავში.

ამ გვარივე შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა ქ. ყაზლიარში, როგორც გაზ. «თერგსა» სწერენ. ერთი ახალ-გაზდა ქართველი მშვენიერის სახისა, გვარად ძიკნაძე, აჰყოლია ვიღაც ორს შარლატანს, დაუნებებია თავი თავის საქმეებისათვის და მიუყვია ხელი ლოთობისა და ყომარბაზობისათვის. მასუკან საღღაც გამქრალა და ხუთი დღის უკან მკვდარი ერთს თხრილში უპოვნიათ. აღმოჩენილა, რომ იმის «ამხანაგებს» ჯერ შეურაცხება მიეყენებინათ და მერე თხრილში გადაეგდოთ. ამ ამბავმა მთელი ქალაქი შეაძრწუნაო, იწერებიან ყაზლიარიდამ.

«დროების» ტელეფონი, 21 დეკემბ.

დღესასწაულები ოსეთში

(ვუძღვნი ც—ძეს.)

ისტორიკოსები ამბობენ, რომ ეხლანდელი ოსები შეადგენენ საკვირველ არეულობას სხვა-და-სხვა ძველ ტომთა. წინაპრებად ოსებისას სთვლიან არიებს (ჰეროდოტი), ანუ ირებს, ირონებს; შემდეგ ირონებს შეუერთდენ შემდეგნი ტომნი: ნართები (სემიტელები), ალანები, აზები (ასები ანუ ოსები) და სხვანი. როდესაც გაიცა რამდენიმე საუკუნე, მათ შეერთების შემდეგ, როდესაც ისინი მკვიდრად დამყარდენ თავიანთ ალაგას, ჩვენ ვხედავთ, რომ ნახევარი ნაწილი მათი კერპთ-მსახურებისაგან შესდგება და ნახევარი კი მაჰმადიანებისაგან. მაგრამ კარგად რომ გავსინჯოთ, ოსებს თითქმის არც ერთი სარწმუნოება მკვიდრად მიღებული არა ჰქონდათ. ეყობა, მაჰმადიანობას და კერპთ-მსახურებას დიდი ხანი უბრძოლვიათ ერთმანეთთან, მაგრამ ვერც ერთს ვერ დაუძლევია და ორნივ შესუსტებულან. მაჰმადიანებს სრულებით არა ჰქონდათ მეჩეთები და არც მოლები ჰყავდათ. მხოლოდ ისე, როგორც კერპთ მსახურებს, ამათ ჰქონდათ სალოცავები (ქუანდონები) რომელიმე მუხის ქვეშ. მუხა წმიდა ხედ ითვლებოდა აგრეთვე სხვა აღმოსავლეთის ხალხთა-შორისაც*).

ოსების შესანიშნავი სალოცავები იმყოფება სს. ზანალგომში, ქანში, დარგავსში, ქაკადურში, სუადაგში, დირჯინში, ბერში და სხვ.

ამ სალოცავებს ოსები უძახიან ძუარ. როგორც ძველს საბერძნეთში ყოველს მხარეს, ქალაქს ჰყვანდა თავისი პატრონი, ღმერთი, აგრეთვე ოსეთში ყოველს სოფელს, ყოველს გვარს ჰყავს თავისი პატრონი—ძუარი. ოსების ძუარები არიან აგრეთვე ბერძნების ნიმფები*) და რომაელების Lares. რომაელების მატიანე ამბობს, რომ ოსებს ძველთაგანვე ჰქონდათ ხოლმე ქუანდონში ხანჯალი, რომელსაც იგინი თაყვანსა სცემდენო**). სტრაბონი ამბობს, რომ ძველ დროში ქუანდონებში ქალები იყვნენ დიკანოზებადაო» (Strabo, X, 532) ***).

ზოგს ქუანდონს ოსეთში ძველ დროს ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მაგ. სოფ. ზანალგომის ქუანდონს (ფარნიჯი—დუაგ) ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ კაცის მკვლელს შეეძლო დაესხნა თავი მოკლულის ნათესაებისაგან, თუ ამ ქუანდონში შეასწრებდა.

სწორედ ამისთანა მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიას ძველს ალადაში. მეორე ქუანდონში (ს. ქანში) ძველ დროს შეეკრიბებოდენ ხოლმე ოსეთის წარმომადგენელნი და იქ საერთოდ ფიცს მისცემდენ ხოლმე, რომ ერთმანეთს არ ულალატონ მტერზე გალაშკრის დროს.

ოსების ღმერთები არიან: ხცაუ (Zeve) ვასჯირჯი (ბერძნების Hercules, ფინიკეველთ Melchart, მცირეაზიელთ Sanolon); მა, ანუ მაირამ (ეგვიპტელთ Maath, რომაელთა Latona, ანუ Diana, ბერძნების Artemis, არაბელთა Alilath, გალატეველთა Agolitis, ასირო-ბაბილონელთა Milytta). ვაჩილლა (Azila, Avgila), დონბეტტერ (Poseidon) იუ-

*) Риттеръ. Европа.

*) ძუარებს ზოგნი მიცვლებულების სულებად სთვლიან (Терск. вѣд. 1867 г. № 11).

**) Ammian, Marcellin.

***) ეს ქალები მოგვაგონებენ ძველ რომაელების ვესტალებს. ავტ.

რუსეთი

— რუსული გაზეთები მოგვითხრობენ ძრავალი გაჭირვებით სავსე თავგადასავალს ერთის სწორედ შესანიშნავი ცამეტი წლის უმაწვილისას, რომელიც მამატობით, მხნეობით და არჩეულ საქმისადმი სიყვარულით სრულიადაც არ ჩამოუვარდება რუსული მეცნიერების და მწერლობის მამას—ლომონოსოვს; ეს უკანასკნელი, ღარიბი გლეხი-მეთევზეს შვილი, სწავლის სურვილით გატაცებული, ჭკვეთი წამოვიდა ქ. არხანგელსკიდგან, ჩამოვიდა მოსკოვში და შევიდა სასწავლებელში; შემდეგ მრავალი გაჭირვებისა, უკიდურესი სიღარიბისა, ლომონოსოვი შეიქმნა გამოჩენილი მეცნიერი და მწერალი. ამ გვარი თავ-გამომეტების და მამატობის მაგალითი რუსეთში თუმცა ხშირია, მაგრამ უველას მეცადინეობა ისე კერ დაგვირგვინდება, როგორც ლომონოსოვისა დაგვირგვინა. უმეტესი ნაწილი სწავლა-მეცნიერების მეძიებელთა და მსურველთა უდროოდ იღუპება და ამ ნაირად ქვეყნისათვის უნაყოფოდ განვლიან მრავალი ბატიოსანი და ნიჭიერი უმაწვილი კაცები; ეს ისტორია მუდამ ახლია და, აი, დღესაც ხელთა გვაქვს ერთი თვრიად შესანიშნავი ამბავი. რუსული გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში მისულა ცამეტი წლის უმაწვილი, ვასილი სოლნიშკინი; ეს უმაწვილი წასულა კაკვაკვიდამ ჭკვეთი და პეტერბურგამდე ორი ათასი ვერსტი გაუვლია; სოლნიშკინი კერ შეუშინებია კერც რუსულს სუსხიანს ზამთარს, კერც უფულობას; მას თან ჰქონია მხოლოდ ერთი შაური. სოლნიშკინი გაუტაცებია მუსიკის შესწავლის სურვილს და ამ სულობაში გასავარჯიშებლად გაუბედნია პეტერბურგში წასვლა მალულად და ეკეკლიკე საშუალების უქონველად. სოლნიშკინი ღარიბი ყაზახის შვილია; მამა მისი მეფუზიკეა; თვითონ ვასილი სოლნიშკინი კარგად უკრავს სკრიპკაზე და კვკვაში კონცერტებში მონაწილეობას იღებდა, როცა ექვსის წლისა იყო; პეტერბურგს წავიდა კონსერვატორიაში შესასვლელად; ორი ათასი ვერსტი სოლნიშკინმა გაიარა ოც და-შვიდს დღეში. ქვეითი მოგზაურობის დროს უპატრონო ბავშვი მოწყალებით სცხოვრობდა, ღამეს ათევდა, სცა მოხვდებოდა, და სან-დის-სან, ისიც იშვიათად, სტორროუების ქოხებში. პეტერბურგში სოლნიშკინს შესვლა ერთი ვინმე, რომელმაც შეიცოდა სატოდავი ბავშვი და წარუდგინა იგი უფუმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს პობედონოსცევს; პობედონოსცევმა მიიღო სოლნიშკინი თავის მფარველობის ქვეშ. აუარებელი გაჭირვებისა, შიმშილისა და რუსული სიცივეებისა გამო, მამატი ბავშვი ძმიმედ ავად გახდა სოფლით. სატოდავი სოლნიშკინი საავადმყოფოში გაუგზავნიათ და მისი მორჩენა ერთობ საეჭვოა,—შეიძლება სოლნიშკინს თავისი საქმეური გამბედაობა და მუსიკისადმი სიყვარული სიცოცხლის ფასად დაუჯდეს.

— «Русскій Курьеръ»-ი გვატყობინებს შემდეგს: იმ «კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შემუშავება იმ საგნისა—თუ რა საშუალება უნდა ისმარებოდეს საკრედიტო დაწესებულებათა დაცემის ასაცილებლად, დაუბოლოებია საქმე და საუკეთესოდ უცნია საკრედიტო დაწესებულებათა ოპერაციების შეჩერება და ანგარიშების გაწმენდა იმ შემთხვევაში, თუ ხსენებულ დაწესებულებათა ზარალი მიაღწევს კომისიისაგან აღნიშნულს წერტილამდე.

— გაზეთები გვატყობინებენ, რომ გრაფი დ. ა. მილიუტინი, სამხედრო მინისტრად ნამყოფი, განსვენებული ხელმწიფე იმპერატორის ცხოვრების გრცელს აღწერის შედგენას შესდგომია.

— რუსეთში თითქმის ყოველს დიდ მნიშვნელობიანს საქმეს კარდასცემენ განსახილველად და შესამუშავებლად არჩეულს კომისიას; ამ ზომას ხმარობენ საქმის რიგიანად შემუშავებისა და შეძლებისამებრ საჩქაროდ დაბოლოებისათვის; მაგრამ, სამწუხაროდ, კომისიები ხშირად კერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას; უმეტესს ნაწილად მინდობილს საქმეს კრუსებიკით ასხვედან, მაგრამ ვერაფერს ვერ გამოჩეკენ ხოლმე; თითქმის ყოველი საქმე, რომელიც კომისიის ხელში ჩავარდება, დამარხულად ითვლება, და საზოგადოება ჭკარგავს იმედს რომელიმე საქმის შესახებ, თუ რომ ამ უკანასკნელის შემუშავება რომელსამე კომისიას მიენდო.

ეკეკლიკე ამისა გარდა, დიდი ხანია, რაც მწერლობაში ჩიკიან კომისიების უნაყოფობას; იმავე გარემოების გამო, ერთს წარჩინებულს პირს განუმარავსავს კომისიებისათვის საჭირო წესების შედგენა; ამ პირის აზრით, კომისიები უნდა იყვნენ დამოკიდებულნი სენატთან და არა სამინისტროებთან, რათა მათ ასცილდეს ხსვა-და-ხსვა პირთა ზედ-გავლენა; გარდა ამისა, სენატმა ვალდებულებად უნდა დასდოს კომისიებს შედგენა თვიური, ოთხ თვიური და წლიური ანგარიშისა და მოხსენებისა შესახებ მათის მოღვაწეობისა და მათთვის საჭირო ხარჯებისა.

— იმავე გაზეთში მოუვანილია რაოდენიმე ცნობა შესახებ ქალების უმაღლესი კურსებისა; ეს კურსები მოკლებულნი არიან საკუთარს სახლს და იმიტომაც დღემდის ისეთს სადგომში იმყოფებიან, რომელიც კერ აკმაყოფილებს სასწავლო დაწესებულების მოთხოვნილებათა. ამ ყამად «საზოგადოებას», რომლის დანიშნულებაც არის შემწობა აღმოუჩინოს კურსებს, განზრახვა აქვს კურსებისათვის საკუთარი სახლი შეიძინოს; «საზოგადოების» კომიტეტის ანგარიშით, სახლი მიწითურთ ეღირება 150,00» მან., საზოგადოებას კი სახლის ასაშენებლად ამ თავითვე შეუძლიან დასარჯოს მხოლოდ 45,000; დანარჩენი ფულის მოპოებისათვის კი საჭირო იქმნება სახლის დაგირავება. «საზოგადოების» შემოსავალი უკანასკნელი აკადემიური წლის განმავლობაში აღირიცხებოდა 102,285 მანეთამდე; ამ ჯამს შეადგენენ სასალხო განათლების სამინისტროს მიერ შეწირული 3000 მან., და, სხვათა შორის, სხვა-და-სხვა პირთა და დაწესებულებათა შეწირულებანი. სარჯი «საზოგადოებისა» აღირიცხება 56,475 მანეთამდე; ამის გარეგარეგულებაში რჩება მხოლოდ 45,475 მან.,

— როგორც იწერებიან მომავალს ზავზსულს პეტერბურგს ჩამოვლენ ზოგიერთა ბუსარელები თავუანის სატემლად ეორანისა, რომელიც მენახულია საიმპერატორო საზოგადო ბიბლიოთეკაში; ეს ეორანი, რომელიც რუსებს სამარკანდიდგან გადაუტანიათ, შადგენს ბუსარელ მაჰმადიანთათვის «წმიდათა-წმიდას», რადგანაც, როგორც ისტორიული გარდმოცემა მოგვითხრობს, იგი მორწუულია მაჰმადიანთა წინასწარმეტყველის, მაჰმადის სიძის, ალის შვილების სისხლით.

— ქ. რიგაში მომხდარა საშინელი უბედურება: იქ უპოვიათ გიმნაზიის ორი შეგირდი, ძმიმედ დაჭრილნი; მათთან უნახავთ ერთი რეკოლვერი. გაზეთი «Новое Время» გვატყობინებს ამ შემთხვევის შესახებ შემდეგს «12-ს ნოემბერს გარდაცვლილა ერთი დაჭრილთაგანი, დედ-მამის ერთად ერთი შვილი, ლესნიკოვი, რომლის ტვინში იპოვეს ორი ტყვია; 3-ს დეკემბერს გარდაიცვალა ბარონი კორინსკი, მამა მეორე დაჭრილი შეგირდისა. ცხრა შვილის პატრონი კაცი, ერთად-ერთი იმედი თავისი დიდი ოჯახისა. კოსინსკის სიცოცხლე, როგორც სავიქრებელია, შეამოკლა იმ შთაბეჭდილებამ, რომელიც მასზე მოახდინა ხსენებული საქმის გამოძიებამ, თუმცა საქმის გამოძიება ჯერ კიდევ სწარმოებს. უბედურების მიზეზები და ბრალდებულნი ჯერ კერ აღმოუჩენიათ და ნამდვილი კერა გაუგიათ რა, საქმე კი დიდი შემდგარა, და იმ ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ შესახებ ამ უბედურებისა, რომელმაც რამდენსამე კაცს ბოლო მოუღო.

— «Русскій Курьеръ»-ი გვატყობინებს შემდეგს: «სარეოვის საგუბერნიო ერობის კრების ჩვეულებრივს სხდომებზე განიხილავენ საქმეს შესახებ დამოუკიდებელი მონაწილეობის მიღების უფლების მინიჭებისა საერო არჩევებში

ბეტტერ (iupiter) და სხვ. ნიმფები: ალარდი, დუაგ და სხვ.

ახლა მოვიხსენოთ ოსების ზოგიერთი დღესასწაულები.

ახალ-წლისთვის ყველა ოსს მომზადებული უნდა ჰყვანდეს ღორი, დედა-კაცები შეუდგებიან ხოლმე არაყის გამოხდას და ლუდის მომზადებას; ამასთანავე ისინი აცხობენ ხაბიზგინებს (ხაჭა-პურებს). ძაცებმა უნდა ახალ-წლის წინადვე გასწმინდონ თავიანთი იარაღი, თორემ თუ მაშინ არ გასწმინდეს, იმ იარაღით სანადიროდ ველარ გამოვლენ. როდესაც დაღამდება ახალ-წლის წინა დღეს, ოსების სოფლებში შეიქმნება ხოლმე ერთი წივილ-კივილი; პატარა ბიჭები აჩენენ ცეცხლს და ფილამდის უნთიათ. ყველა ოსმა ახალ-წლის ღამეს უნდა გაისროლოს თოფი და ამასთანავე მთვარეს უნდა დაუმიზნოს. ოსები ჰფიქრობენ, რომ წელიწადში ერთხელ, ახალ-წლის ღამეს ვეშაპი (არვი-ქალმ) ეცდება ხოლმე, რომ მთვარე ჩაყლაპოსო. ახალ-წელს ოსები აკითხვინებენ ხოლმე მკითხავს ახალს წელზე, მომავალზე და სხვ.

7 იანვარს ოსები დღესასწაულობენ **მკვდრების ლხინის** დღეს. ამ დღეს დედა-კაცები გამოაცხობენ დიდ პურებს, მოამზადებენ ლუდს და მოიპატიჟებენ ქალებს (კაცები ამ დღესასწაულში მონაწილეობას არ იღებენ). სახლის ერთ კუთხეში ზის ბებერი დედა-კაცი, რომელიც ქალების შეგროვების შემდგომ დაიწყობს: «გვშიან, ქალებო, გვწყურიან, ტანისამოსი მოგვაკლდა, იმიტომ, რომ ჩვენი მზე ჩაკიდა!.. ყველანი: ოდოდოდი! ვეუ! ვეუ!!!... არც თქვენ დაგიდგათ კარგი დრო, ეუბნება დედა-კაცი მიცვალებულის იარაღს, ქანგი მოგვეკიდათ, მაგრამ ვინღა არის პატრონი, ვინღა მოიხმარებს სანადიროდ, გალაშქრის დროს... ჩვენმა საქონელმა ბლავილი დაიწყო, აღარაფინ არის, რომ ბზე დაუყაროს, წყალი დაალევინოს, აღარა ჰყავთ პატრონი, იგი მოტაცებულ-იქმნა აზრაილისაგან*)... ყველანი: ვეუ! ვეუ! მა ბონ!..**) მთელ ღამეს ქალები ტირილში ატარებენ. მესამე დღეს დანიშნულია დოღი, (რომელიც საჭიროა მიცვალებულის სულის საცხონებლად); ვინც გაასწრობს, მიიღებს მიცვალებულის ცხენს, ტანისამოსს და სხვ.

დიდ-მარხვის პირველ კვირის პარასკევს ოსები დღესასწაულობენ თუთიერს (წმ. თეოდორე). ფილა ადრია ნად მძახლები დადიან სოფელში და სთხოვენ ხალხს მოგროვდეს ნიხასზე (ლაპარაკი, კრება). მაშინათვე ყველა ოსი აიღებს ხაჭა-პურებს, ლუდს, თევზს და მიდის დანიშნულ ალაგზე. აქ ოსები მოილაპარაკებენ ხოლმე თავის საჭიროებაზე...

დიდ-მარხვის მეორე კვირის ორშაბათს, ოსები დღესასწაულობენ ხორ-ხორს. ამ დღეს, თუმცა დიდი მარხვაა,—ოსები ხსნილად სთვლიან.

ერთ ადგილას მოგროვდებიან ხოლმე სოფლელები. და გაშლიან სუფრას; სადილის წინ ერთი მოხუცებული ოსი წამოდგება, ცალ-ხელში უჭირავს ლუდი, ცალ-ხელში ხაბიზგინი და დაიწყებს: «ყური მიგდეთ, შეაყენეთ, ძალლებო, თქვენი ყეფა და ისმინეთ ლოცვა! ღმერთთა ღმერთო, მაღალო ხცაუ! ბაქებთ და გადიდებთ შენ! ვასჯირჯო, თუთირო და ვაჩილლაე, თქვენის იმედით ესულდგმულობთ! ილბუზო, და სხვა მაღალნო

*) აზრაილ—სიკვდილის ანგელოზი, სულთა-მსუთავი.

**) ამისთანა მოთქმებს გლოვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგინი გამოხატვენ ხალხის რწმუნებას, გრძნობას და სხვ. ესე იგინ ოსებმა, თუშებმა და სხვ. ავტ.

ქალებისათვის, რომელთაც ქონებრივი ცენზი აქვთ.

უცხოეთი

— სამხღვარ გარეთელ გაზეთებში იწერებიან, რომ ინგლისი წაესარჩლა ერზერუმის სომხებს, რომელნიც ოსმალეთის მთავრობამ დაატუსაღა, როგორც პოლიტიკური დამნაშავენი. ამ უკანასკნელთა სასარგებლოთ ინგლისის საელჩოს პორტასთვის უკვე ნოტა წარუდგენია. აღნიშნული სომხები დაუტუსაღებიათ იმისა გამო, რომ ოსმალებს აუღიათ მათზედ ეჭვი, ვითომც იგინი ამზადებენ სომხეთის რევოლიუციას. დამნაშავეთ გადუწყვიტეს ზოგს კატორგა და ზოგს კიდე აზიურ ციხეებში ჯდომა. ინგლისის ამ გვარი წასარჩლების გამო, ეხლა თურმე ოსმალეთის ჟურნალ-გაზეთები ძალიან გაცხარებულნი. რაც შეეხება ინგლისის საელჩოს, იგი თხოულობს ხსენებული ტუსაღების განთავისუფლებას, რადგან იმათი «დანაშაული» მდგომარეობს მხოლოდ სიმართლის ძიებაში, ე. ი. იგინი თხოულობდენ, რომ პორტამ შეასრულოს ის რეფორმები, რომელნიც ბერლინის ტრაქტატში ჩაწერილი.

ამავე დროს, პორტა თვით კონსტანტინეპოლში სომხის რევოლიუციონერებს დაეძებს გამწარებული. ოსმალეთის კონსულს გაუგზავნია თბილისიდგან გარეშე-საქმეთა მინისტრისათვის ერცელი მოხსენება, სადაც ლაპარაკობს, ვითომც არსებობდეს კავშირი კონსტანტინეპოლის სომხების რევოლიუციონერებსა და რუსეთის სომხებს შორის. გაზეთების სიტყვით, ხსენებული კონსულისგან მიწერილი ცნობები თუმცა გამოგონილია, მაგრამ ვაი კონსტანტინეპოლის სომხებსა, მეტადრე იმათ, ვინც იქიდგან კორესპონდენციებსა ჰგზავნიან თბილისის სომხურ გაზეთებშიო.

— ზოგიერთა ავსტრიელი გაზეთები იწერებიან, ვითომც სერბიაში რუსეთის წარმომადგენელი პერსიანი გაეჩხრიკოთ და ვითომც იმისთვის საეჭვო რაღაცები ეპოვნოთ. ვოლჭის სააგენტოს ბელგრადიდამ მოსულია ტელეგრამა, რომელიც აცხადებს, რომ ეს ცნობა სრულიად უსაფუძვლოაო.

— გერმანიელს გაზეთს «ქელნიშე ცეიტუნგს» პეტერბურგიდგან მისულია ამბავი, ვითომც ბულგარიის სამხედრო მინისტრად ამორჩეული, გენერალ-მაიორი ფრეზე, უკმაყოფილოდ მიდიოდეს ბულგარიაში თავის ახალ თანამდებობაზე. «ქელნიშე ცეიტუნგის» კორესპონდენტი ამასთანავე იწერება, ვითომც გენერალური შტაბის უფროსს, გენერალს ობრუჩევს, რომელიც პასნლავიზმის მომხრეთ ითვლება, ცუდი შთაბეჭდილება მოეხდინოს ფრეზეზე თავის ლაპარაკითა, ე. ი. ვითომც იმას ეთქვას ამ უკანასკნელისთვის, რომ ბულგარიის სამხედრო მინისტრი ბულგარიას რუსეთის პროვინციად უნდა სთვლიდესო, რომლის გუბერნატორიათაც ის—ფრეზე—ინიშნება, და ბულგარიის ჯარს რუსეთის ჯარის ნაწილათაო.

— ხორვატიის მცხოვრებლები შემდეგ ახალი ბანის დანიშვნისა და სეიმის გახსნისა ცოტა არ არის დაცხრომილან იმ მღელვარებისაგან, რომელშიაც აქამდინ იმყოფებოდა თითქმის მთელი ხორვატია. მაგრამ პატრიოტულმა მოძრაობამ მაინც უმნიშვნელოდ არ ჩაიარა. ხორვატელებმა უფრო გაბედვით იწყეს მოქმედება და მათი პოლიტიკური პროგრამა უფრო სრული და ფართო შეიქმნა. გაზეთმა «პოზორი» ამ დღეებში გამოსცა ზომიერი დასის პროგრამა, რომლის უმთავრესნი მუხლნი სრულიად ეთანხმებიან ავსტრიის სხვა მაზრების პროგრამას, განსაკუთრებით ჩეხიისას, და საზოგადოდ ისეთი მოთხოვნილებებია პროგრამაში მოყვანილი, რომ სრული ავტონომიის მოთხოვნას ბევრი აღარა უკლიარა.

— ბიკსა-ფაშის ექსპედიციიდამ ერთს გადარჩენილს ხორთუმელს მეომარს ეამბნია შემდეგი საინტერესო ამბავი ხსენებული ფაშის დამარცხების შესახებ; ის ამტკიცებს თურმე, კაშღათის ბრძოლაში მეც ვერიეო და ზურგში შუბითა ვარ დაჭრილიო. იმის სიტყვით, ბძოლა კლდიანს ადგილზე მომხდარა და ამის გამო სწორე ომი შეუძლებელი იყოვო. ექსპედიციის სალდათები ცალ-ცალკე ჯგუფებად იყვნენ დაყოფილნი და ისე იბრძოდენო. თვითონ ბიპსა-ფაშა ისე ომობდა, როგორც ლომიო. სამჯერ გამოცალა რევოლვერის ლულებიო და როდესაც ტყვია-წამალი შემოელია, ხმალ-და-ხმალ დაერია მტერსაო. იმ ოფიცრების ჯგუფში, რომელშიაც ის იდგა, ყველაზე ბოლოს ის მოკლეს. როდესაც ბრძოლა გათავდა, მთელი ექსპედიციიდამ 150 კაცი გადარჩენილიყო. ეაენი მტერმა ტყვედ დაიჭირა და მახდიმ უბძანა თავის მეომრებს, რომ ისინი არ დაეხოცათ. შტაბის დახოცილს ოფიცრებს თავები მოჰკვეთეს, ტყვეებს აჩვენეს, შემდეგ მარგილზე ჩამოაცვეს და ციხის კარებთან დაურჭვესო. არაბები ბიკსა-ფაშის საფლავზე ძეკლის გაკეთებას აპირებენ, იმის ვაჟკაცობის პატივსაცემლადაო.

— გერმანიის მეჩვიდმეტე პრინცს ფრიდრიხ-ვილჰელმის მიერ პაპა ლევ XIII-ის ნახვამ ძალიან აალაპარაკა ევროპიელი ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც, ვინც იცის, რა პოლიტიკურს მნიშვნელობას არ აწერენ ამ შემთხვევას. ზოგი მათგანი ამტკიცებს, რომ პრინცი და პაპა სრულიად არ შეეხებიან თავიანთ საუბრის დროს პოლიტიკურს საქმეებსაო. პაპა ძალიან გაკვირვებულია თურმე, რომ პრინცს კრინტიც არ დაუძრავს შესახებ საეკლესიო და პოლიტიკური საქმეებისა და, როდესაც ჟურნალ-წამოსასვლელად გამზადებულა, მხოლოდ თურმე ჰკითხა პაპამ—პოლიტიკური მონდობილობა ხომ არაფერი გაქვსთო? ამაზე ფრიდრიხ-ვილჰელმა უპასუხა, რომ იმპერატორი ვილჰელმის და თავადი ბისმარკის სურვილია, რომ ისევ მშვიდობიანობა ჩამოვარდეს პაპისა და მათ შორის, რამდენათაც კი შესაძლებელია ეს პრუსიის კანონების მხრივაო. და არც კი საკვირველია, რომ გერმანიის მომავალმა მეფემ არ ჩამოაგდო პაპასთან ლაპარაკი საეკლესიო საქმეებზედ—ამისთვის დიპლომატებმა უნდა იხეთქონ თავი. ეს კია, რომ რადგან არავითარი ცნობები არ გამდვიდა იმათ შორის საუბარზედ, მეტი აღარა გაგვეწყობარა, უნდა ყური უგდოთ, თუ რა კილოზედ ლაპარაკობენ სხვა-და-სხვა ოფიციალური გაზეთები. ლიბერალური ჟურნალ-გაზეთები, გერმანიაშიცა და იტალიაშიც, ამტკიცებენ, რომ პრინცის მისვლას პაპასთან არა აქვს არავითარი პოლიტიკური და გადამწყვეტელი მნიშვნელობაო; ხოლო ორივე სახელმწიფოს კლერიკალების ფიქრით, ამ მისვლამ გამრჯვება მიანიჭა კათოლიკე ეკლესიასიო. ვნახოთ, რა იქნება.

— შემდეგ იმისა, რაც ქალების საექიმო კურსებს უმტყუნათ ბედმა, და სწავლის მოსურნე ქალებს დაეხშოთ კარი საექიმო განათლებისა,—რუსეთის ახალგაზდა მოსწავლე ქალებმა ახსენეს ლმერთი, გაბედეს სამშობლოს დატოვება რამდენიმე წლით და მიაწყდენ სხვა და-სხვა უცხოეთის ქალაქებს, რომლებშიაც კი იმყოფებიან უნივერსიტეტები. ეა მოგზაურობა მათთვის შეერთებულია, ბევრ სხვა გაჭირებასთან, იმ უსიამოვნებასთანაც, რომ, მართალია, ევროპის ხალხი დაწინაურებულია სლავიანებზედ, მაგრამ ქალის მდგომარეობა რუსეთში უფრო უკეთესია, ვიდრე სამხღვარ გარეთ. მოსწავლე ქალი არამცთუ არ იმყოფება პატივცემა-

---

მთანო ირონისტანისა (ოსეთისა), მაღლიდამ გეიყურეთ, შეამჩნიეთ ხოლმე, რომელია ჩვენში დამნაშავე და სამართლისამებრ თქვენისა სასტიკად დასაჯეთ იგი! მთის ძუარებო, გეიშველეთ ჩვენ! მიქელ-ბაბრიელ, ანგელოზებო, და დუაგებო, ჩვენი მფარველნი იყავით! ბურჯისტანის (საქართველოს) ბრწყინვალე ეკლესიებო, კარგი თვალით გადმოგვხედეთ!!!...*) ამ ლოცვის შემდეგ «დეკანოზი» ყვირის: «რა გინდათ სამერმისოდ?!»—ხორ! ხორ! (პური),—უპასუხებს ხალხი... დიდ-მარხვის მეოთხე კვირის შაბათს ოსები დღესასწაულობენ ლაუს-განანს (მკვდრების მოხსენებას). დღესასწაულის წინა დღეს ოსები ხარშავენ ხორცს, აცხობენ პურებს და

*) ამისთანავე ლოცვა სცოდნიათ სამხრეთ გერმანიელებსაც. Путешествіе по южной Россіи Кооля. Ч. I, стр. 292.

ყველა ამით გაავსებენ ხოლმე დიდ გოდრებს, რომელთაც ჩამოჰკიდებენ გარეთ, მკვდრები მოვლენო და წაიღებენო! დილით, რასაკვირველია, გოდრები სავსე დახვდებათ და ამიტომ ჰგონიათ,—მკვდრები არაფერსა საჭიროებენო და მათ მაგივრათ თითონ შეექცევიან ხოლმე...

20 ივლისს ოსები დღესასწაულობენ ვაჩილლის დღეობას. დღეობა არის ხოლმე მუხის ქვეშ. ვაჩილლას ყოველთვის დაუკლავენ ხოლმე თხას*) რომლის ტყავსაც იქვე ხეზე ჩამოჰკიდებენ და თაყვანსა სცემენ. ვაჩილლის საზოგადო სალოცავი იმ-

*) ოსები ძალიან პატივს-სცემენ ოთხს წმინდანს: ილიას (ვაჩილლა), თეოდორე თირელს (ფალვარა), ნიკოლოზს (თუთირ) და გიორგის (ვასკირჯის). ვაჩილლას დაუკლავენ თხას, თუთირს—ხარს, ფალვარას—ღორს და ვასკირჯირს—ცხვარს.

ბ. ჩ.

ყოფება ჩრდილოეთ ოსეთში, სოფ. ქაკადურში.

ამ სოფლის ახლო არის ერთი გამოქვაბული ალაგი. მღვიმეში სდგას ტრაპეზი, რომელზედაც თხის თავი სძევს. დღესასწაულის წინ ოსები ამორჩევენ ხოლმე «დეკანოზს». სამი დღის განმავლობაში დეკანოზი უნდა გაიწმინდოს, ე. ი. ღამ-ღამით იბანოს ტანი რძით, იშარხულოს და სხვ. მესამე დღეს დეკანოზმა უნდა ჩაიცვას თეთრი ტანისამოსი და ლუდით უნდა გაემგზავროს გამოქვაბულ ალაგში; მას უკან მიჰყვება ხალხი, მაგრამ მღვიმესთან რომ მიახლოვდებიან, ხალხი დადგება და აქედამ «დეკანოზი» მარტოკა შიშით შედის «წმიდა-წმიდათა»-ში, სადაც ლუდი უნდა დასდგას ტრაპეზზე და თითონ იმ ღამეს იქ უნდა იწვეს. ხალხი მეორე დღემდის მშიერი რჩება და ელის დეკანოზს. დილას, როდესაც ადგება დეკანოზი, ლუდი გადაღვრილი დახვდება; თუ ოსეთისკენ დაიღვარა ლუდი, მომავალს წელში ოსეთში კარგი მოსავალი იქნება. დეკანოზი გამოდის და ეუბნება ხალხს, რომ მომავალს წელს კარგი მოსავალი იქნებაო. ხალხი აჯილდოვებს მას—ზოგიერთი ყანწი არაყით და ზოგი ხაბიზჯინით...

28 დეკემბრისათვის ყველა ოსს მომზადებული ჰყავს თხა. ეა დღე შაითანის (ეშმაკის) დღესასწაულია. როგორც თხას, ისე ყველა სასმელს და საჭმელს მარტო სახლობა შეექცევა. ამ ღამეს ქალებს გარეთ არ გამოესვლებათ,—უეჭველად შაითანი მოიტაცებს...

ჩვენ შემდეგში უფრო ერცლად მოვილაპარაკებთ ოსების დღესასწაულებზე.

გიორგი ჩოჩიშვილი.

ში, თითქმის ტინგი